„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი _____ სოფიო გვეტაძე
“18“ ---------- 01 ---------- 2024 წ.

საქართველოს ქალთა მე-81 ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა
8 - 18 თებერვალი, 2024 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი:
   საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
2. ღონისძიების მართვა:
   განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.
3. ჩატარების ვადები და ადგილი:
   08.02-18.02.2024 წ. ქ. თბილისი, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლე.
4. სისტემა და დროის კონტროლი:
   ტურნირი გაიმართება ფიდე-ს წესებით, წრიული სისტემით, 10 მონაწილეს შორის. თითოეულს 90 წუთი 40 სვლაზე, შემდეგ 30 წუთი პარტიის ბოლომდე, პირველი სვლიდან ბოლომდე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით.
5. განრიგი:

ტური	დღე	საათი
ტექნიკური შეხვედრა	8 თებერვალი	15:00
გახსნა	9 თებერვალი	14:45
I ტური	9 თებერვალი	15:00
II ტური	10 თებერვალი	15:00
III ტური	11 თებერვალი	15:00
IV ტური	12 თებერვალი	15:00
V ტური	13 თებერვალი	15:00
დასვენების დღე	14 თებერვალი	
VI ტური	15 თებერვალი	15:00
VII ტური	16 თებერვალი	15:00
VIII ტური	17 თებერვალი	15:00
IX ტური	18 თებერვალი	15:00
დახურვა	18 თებერვალი	19:00

6. მონაწილენი:
   უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება აქვთ:
   1. საქართველოს ქალთა 80-ე ჩემპიონატის 1-3 პრიზიორებს;
   2. საქართველოს 2023 წლის ქალთა ეროვნული ნაკრების წევრებს;
   3. საქართველოს ქალთა მე-81 ჩემპიონატის I ლიგაში I-II ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს;
   4. უმაღლესი ლიგის ვაკანტური ადგილები შეივსება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ნომინაციით. პრიორიტეტი მიენიჭებათ კლასიკურ ჭადრაკში 14 - 20 წლამდე ასაკის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე I-III ადგილებზე და სწრაფ ჭადრაკში 14 - 20 წლამდე ასაკის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებულებს;

   - უმაღლესი ლიგის მონაწილეებმა თავიანთი მონაწილეობა უნდა დაადასტურონ არაუგვიანეს 2024 წლის 25 იანვრისა.
7. კვალიფიკაცია:
   ტურნირში დაითვლება ფიდე-ს რეიტინგი.

8. თაი-ბრეიქი:

გამარჯვებულები გამოვლინდებიან ქულათა მეტი რაოდენობის მიხედვით. თანაბარი ქულების შემთხვევაში:

1. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. კოიას სისტემა.
5. თუ ოთხივე მაჩვენებელი თანაბარია, ჩატარდება დამატებითი მატჩები (იხ. დანართი 1)

9. გამარჯვებულნი:

- 1 ადგილზე გასული მოჭადრაკე დასახელდება საქართველოს ქალთა ნაკრების წევრობის კანდიდატად;
- 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაფინანსდებიან 2024 წლის ევროპის ქალთა ჩემპიონატზე;
- 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაიშვებიან 2025 წლის საქართველოს ქალთა 82-ე ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში.

10. დაჯილდოება:

- 1-3 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით;
- 1-8 ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით.

საპრიზო ფონდი: 30000 ლარი.

ადგ.	პრიზი
1	10000 ლარი
2	7500 ლარი
3	5000 ლარი
4	3000 ლარი
5	2000 ლარი
6	1200 ლარი
7	800 ლარი
8	500 ლარი

- პრიზები არ იყოფა.
- ყველა პრიზი დაიბეგრება საქართველოში მოქმედი ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად.

11. საერთო წესები:

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

12. მონაწილეების ვალდებულებები:

- დაესწრონ ტურნირთან დაკავშირებულ ყველა ოფიციალურ ღონისძიებას, მათ შორის ტექნიკურ შეხვედრას და გახსნა-დახურვის ცერემონიას.
- მედია აქტივობები: ტექნიკური შეხვედრის დღეს და ყოველი პარტიის შემდეგ, ტურნირის მონაწილეები ორგანიზატორის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულნი არიან მიიღონ მონაწილეობა მოკლე ინტერვიუებში.

13. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი